



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 32

“ 30 ” ი ა ნ ვ ა რ ი 2026 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.27.152; №72.16.27.041; №72.16.27.035; №72.16.09.177; №72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის №26.125.140 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №72.16.27.152; №72.16.27.041; №72.16.27.035; №72.16.09.177; №72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №012407932-67 (№ №01241833940-67; 01242331593-67; 01242824053-67; 01243453953-67; 01250283937-67; 01250781743-67; 01251284146-67; 0125178800-67; 01252103492-67; 012524043-67; 01252581526-67; 01252862873-67; 0125317740-67; 012534830-67; 01260143334-67; 01260213958-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 26.125.140 29 / იანვარი / 2026 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 19 მარტს N012407932-67 (N N01241833940-67; 01242331593-67; 01242824053-67; 01243453953-67; 01250283937-67; 01250781743-67; 01251284146-67; 0125178800-67; 01252103492-67; 012524043-67; 01252581526-67; 01252862873-67; 0125317740-67; 012534830-67; 01260143334-67; 01260213958-67) განცხადებით მიმართეს დავით გოგოლაძემ (პ/ნ 01009011241) და სხვებმა და მოითხოვეს ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 13 243 კვ.მ. (აქედან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N72.16.27.152 საკადასტრო ერთეული - ფართობით 1095 კვ.მ).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის N164 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

შემოთავაზებული წინადადებით დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის 20 ნაკვეთად გამიჯვნა. საიდანაც საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) განვითარდება 18 მიწის ნაკვეთი და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) - 2 მიწის ნაკვეთი (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა). 18 ნაკვეთზე დაგეგმარდა ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლი.

საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 13 243 კვ.მ.



მიწის ნაკვეთების რაოდენობა (საპროექტო) - 20

სამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 18

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი ნაკვეთების რაოდენობა - 2

შენობა-ნაგებობების რაოდენობა (საპროექტო) - 18

შენობა-ნაგებობის მაქს. სიმაღლე/სართულიანობა - 15 მეტრი / 3 სართული;

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

სზ-1 კ-1=0.5; კ-2=0.8; კ-3=0.4

ტზ-1 კ-1=; კ-2=; კ-3=0.1

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2026 წლის 26 იანვრის N01260261024 წერილის შესაბამისად, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 17 დეკემბრის N01253511295 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება

დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012407932-67 (N N01241833940-67; 01242331593-67; 01242824053-67; 01243453953-67; 01250283937-67; 01250781743-67; 01251284146-67; 0125178800-67; 01252103492-67; 012524043-67; 01252581526-67; 01252862873-67; 0125317740-67; 012534830-67; 01260143334-67; 01260213958-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. მშენებლობის ნებართვის გაცემა განხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე ბიოლოგიური გამწმენდი სადგურის (ბიოტალების/სეპტიკების) განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.
3. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.
5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



ვახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01260261024
თარიღი: 26/01/2026

2026 წლის 21 იანვრის N 01260213958-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელი აგარაკი, წმინდაწყლის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.16.27.152, 72.16.27.041, 72.16.27.035, 72.16.09.177, 72.16.09.176) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 31 მარტის N 0121090996-67 განცხადების პასუხად N 01211032265 წერილით.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიკირებული
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01253511295
თარიღი: 17/12/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 14 დეკემბრის №012534830-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წმინდაწყლის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.:72.16.09.176; 72.16.09.177; 72.16.27.035; 72.16.27.041; 72.16.27.152; **არსებული ფუნქციური ზონირება:** საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); **საპროექტო ფუნქციური ზონირება:** ტზ-1 და სზ-1) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **16 ძირი (ს.კ.:72.16.27.152 - №5, 6; ს.კ 72.16.27.041 - №6, 9; ს.კ: 72.16.09.177 -№12, 13, 22, 25, 28, 30, 36, 38, 51, 52, 53; ს.კ : 72.16.09.176 - №11)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი მწვანე ნარგავების რაოდენობა არც ერთ საკადასტრო ერთეულზე არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/ გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური

თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 38 ძირი (ს.კ: 72.16.27.041 - №2, 4, 8, 11, 15, 18, 19, 20, 21; ს.კ: 72.16.27.035 - №5, 6; ს.კ: 72.16.09.177 -№ 3, 8, 11, 16, 17, 18, 19, 20, 21, 24, 26, 31, 32, 42, 45, 47, 56, 58, 59, 61; 62; ს.კ: 72.16.09.176 - №2, 3, 4, 5, 6,8) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი ერთი ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მისი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადარგოს ზემოაღნიშნული 1 ძირი (ს.კ:72.16.09.177- №60) მწვანე ნარგავი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (გადასარგავი: ერთი ძირი მწვანე ნარგავი; საპროექტოდ დასარგავი: ერთი ძირი ცაცხვი წვრილფოთოლა, ერთი ძირი მარადმწვანე მუხა, ერთი ძირი ნეკერჩხალი ჭადარფოთოლა, ერთი ძირი კედარი ჰიმალაური, ერთი ძირი რობინია (ცრუაკაცია) ჯაშში - 6 ძირი) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს ($\text{ტზ-1} = 0.1 = 102.4 \text{ მ}^2$).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს №25.1358.534 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

აქვე, ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე, საექსპერტო დასკვნაზე ელექტრონული ან მატერიალური წესით ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ისე, რომ ხელმოწერა იყოს ტექნიკურად დაცული და არ ექვემდებარებოდეს ცვლილებას დოკუმენტის რედაქტირებისას.

ამასთან, განმცხადებლის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის ძირითად ალბომსა და გამწვანების

ველში ტზ-1-ის კოეფიციენტის შესახებ წარმოდგენილია განსხვავებული მონაცემები, რაც დეტალური პროექტირების ეტაპზე საჭიროებს თანხვედრაში მოყვანას.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



პარამეტრების ცხრილი

ბუნებრივი N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	64.3	0.3	0.1	0.4	0.4	312	134	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
2	65.3	0.3	0.1	0.4	0.4	353	144	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
3	66.3	0.3	0.1	0.4	0.4	394	154	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
4	67.3	0.3	0.1	0.4	0.4	435	164	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
5	68.3	0.3	0.1	0.4	0.4	476	174	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
6	69.3	0.3	0.1	0.4	0.4	517	184	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
7	70.3	0.3	0.1	0.4	0.4	558	194	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
8	71.3	0.3	0.1	0.4	0.4	599	204	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
9	72.3	0.3	0.1	0.4	0.4	640	214	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
10	73.3	0.3	0.1	0.4	0.4	681	224	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
11	74.3	0.3	0.1	0.4	0.4	722	234	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
12	75.3	0.3	0.1	0.4	0.4	763	244	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
13	76.3	0.3	0.1	0.4	0.4	804	254	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
14	77.3	0.3	0.1	0.4	0.4	845	264	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
15	78.3	0.3	0.1	0.4	0.4	886	274	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
16	79.3	0.3	0.1	0.4	0.4	927	284	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
17	80.3	0.3	0.1	0.4	0.4	968	294	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
18	81.3	0.3	0.1	0.4	0.4	1009	304	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
19	82.3	0.3	0.1	0.4	0.4	1050	314	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
20	83.3	0.3	0.1	0.4	0.4	1091	324	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21
21	84.3	0.3	0.1	0.4	0.4	1132	334	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21	16	21



C.Z.L.F.Z.6	
ფორმატი A-3	დაკვეთა
მუშის სახელი	
კანონმდებლის რეგულირების წიგნი № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100	
კანონმდებლის რეგულირების წიგნი № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100	პროექტი ნომერი

მომხმარებელი	სადავო სააგენტო
საკონსტრუქციო საზღვარი	საკონსტრუქციო საზღვარი
უცხი	უცხი
გამყარებული ტერიტორია	გამყარებული ტერიტორია
საკონსტრუქციო მუშა	საკონსტრუქციო მუშა
რეგულირების წიგნი № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100	მუშის სახელი

მომხმარებელი	სადავო სააგენტო
საკონსტრუქციო საზღვარი	საკონსტრუქციო საზღვარი
უცხი	უცხი
გამყარებული ტერიტორია	გამყარებული ტერიტორია
საკონსტრუქციო მუშა	საკონსტრუქციო მუშა
რეგულირების წიგნი № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100	მუშის სახელი

სადავო სააგენტო

საკონსტრუქციო საზღვარი

უცხი

გამყარებული ტერიტორია

საკონსტრუქციო მუშა

რეგულირების წიგნი № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100

საკონსტრუქციო საზღვარი



უცხი

გამყარებული ტერიტორია

საკონსტრუქციო მუშა

რეგულირების წიგნი № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100

1	მინის ნაკეთის ნიშანი	1
2	მინის ნაკეთის ფართობი (მ ²)	643
3	მინის ნაკეთის დავალებული მიზნობრივი დაწინააღმდეგება	საკუთრი - საზოგადოებრივი
4	მინის ნაკეთის გეგმავლობის შიგნითა და გარეშე ზონირება	არ არის დადგენილი
5	მინის ნაკეთის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება	კერძო-სახლიანი ზონა
6	მინის ნაკეთის კონსტრუქციული ფუნქციური ზონა	სახლიანი-სახლიანი ზონა-1 (ს-1)
7	მინის ნაკეთის სტრუქტურული ფუნქციური ზონა	სახლიანი-სახლიანი
8	მინის ნაკეთის გეგმავლობის ნებართვითი საზონირება და მასში შემავალი ფუნქციონირება	ნებართვითი კერძო-სახლიანი საზონირება
9	მინის ნაკეთის კონსტრუქციული ზონირება: კ1, კ2, კ3	ს-1-1, კ1-0.5, კ2-0.8, კ3-0.4
10	მინის ნაკეთის გეგმავლობის ნებართვითი ზონირება	15 მ / 3 საკმობი
11	მინის ნაკეთის გეგმავლობის ფართობი და ზონირება	კერძო-სახლიანი ზონირება
12	მინის ნაკეთის დამატებითი ფუნქციონირების ზონირება	კერძო-სახლიანი ზონირება
13	მინის ნაკეთის გეგმავლობის ნებართვითი ზონირება	-
14	მინის ნაკეთის ნიშანი	-
15	მინის ნაკეთის გეგმავლობის ნებართვითი ზონირება	კერძო-სახლიანი ზონირება



C.Z.L.FZ.8	
ფორმები A-3	დაკვეთა
მინის ნაკეთის ნიშანი	პროექტი ნიშანი
საკონსტრუქციო სახეობა	საკონსტრუქციო სახეობა
საკონსტრუქციო სახეობის კატეგორია	საკონსტრუქციო სახეობის კატეგორია
საკონსტრუქციო სახეობის კატეგორიის დასახელება	საკონსტრუქციო სახეობის კატეგორიის დასახელება
საკონსტრუქციო სახეობის კატეგორიის დასახელების დასახელება	საკონსტრუქციო სახეობის კატეგორიის დასახელების დასახელება

დასახელება: ნიშანი გეგმავლობის, დაცვა გეგმავლობა

მისამართი: ქ. თბილისი, ლიბია, სოფელი აგარაკი, წყაროსუბუფან

ს/კ: 72.16.27.152; 72.16.27.041; 72.16.27.035; 72.16.09.177; 72.16.09.176;

პროექტის სახელი: ინვესტიციური საგეგმავლობის სახეობის გეგმავლობის ნიშანი

თანამდებობა	მუხრან	სტამბა
ფუნქციონირება	მუხრან	07.03.2025
მომზადების თარიღი	07.03.2025	
აპრობირების თარიღი	07.03.2025	

RC

სტამბა: 07.03.2025

მომზადების თარიღი: 07.03.2025

აპრობირების თარიღი: 07.03.2025

სტამბა: 07.03.2025

მომზადების თარიღი: 07.03.2025

აპრობირების თარიღი: 07.03.2025

სტამბა: 07.03.2025

მომზადების თარიღი: 07.03.2025

აპრობირების თარიღი: 07.03.2025

